სსიპ დაბა კაზრეთის N1საჯარო სკოლის

ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი

მაია მოსეშვილი

„ქალის როლი ოჯახსა და საზოგადებაში“

გაკვეთილის გეგმა

სათაური: იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამება“

საგანი: ქართული ენა და ლიტერატურა

კლასი: მე-10

სასწავლო მიზნები:

- **მოსწავლეები შეძლებენ უცხო ტექსტის გაგება-გააზრებას;**
- **საკუთარი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას ტექსტში წამოჭრილი ძირითადი პრობლემის მიმართ.**

ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტი:

ქართ.X.1.მოსწავლეს შეუძლია მონაწილეობის მირება სასკოლა და საკლასო დისკუსიებში.

ქართ.X.1.მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ჟანრის მხატვრული ნაწარმოების გაანალიზება.

ისტ. X.1.მოსწავლეს შეუძლია გაანალიზოს და სეაფასოს ისტორიული მოვლენის განსხვავებული ინტერპრეტაციები

ისტ. X.6.მოსწავლეს შეუძლია გაანალიზოს მრავალფეროვან საზოგადოებაში სამართლიანი ურთიერთობის უზრუნველყოფა.

საზოგადოებრივი მიზნები:

მოსწავლეთა და მშობელთა ცნობიერების ამაღლება ქალთა უფლებების შესახებ

პროექტის მოკლე აღწერა

საზოგადოებაში მოძალებულია ოჯახური ძალადობის ფაქტები, დაკნინებულია ქალის როლი ოჯახსა და საზოგადებაში.ძალადობის მსხვერპლნი ხდებიან ქალები და ბავშვებიც. ხშირია ამ პრობლემის აღმოსაფხვრელი კამპანიები, თუმცა მაინც ილახება ქალის როლი ოჯახშიც და სახელმწიფოშიც.

მოსწავლეთა უმეტესობას უჭირს ლიტერატურულ ნაწარმოებში წამოჭრილი პრობლემის გადატანა რეალურ ცხოვრებაში.ამას ემატებაც ისიც, რომ მე-10 კლასის მოსწავლეებს ნაკლებად აინტერესებთ ძველი ქართული ლიტერატურული ტექსტები და მათში წამოჭრილი პრობლემის გაგება-გააზრება ისტორიულ და თანამედროვე კონტექსტში.

აღნიშნული პროექტის განხორციელებამ ხელი შეუწყო ტექსტის უკეთ გაგება-გააზრებას, საკუთარი აზრის დასაბუთებას, ქალის როლის განსაზღვრას სახელმწიფო ორგანოსა და ოჯახში.ოჯახური ძალადობის საწინააღმდეგო კამპანიის მოწყობას, საკუთარი უფლება-მოვალეობის გაცნობიერებას, პროექტში მონაწილეობას მიიღეს მე-10 ბ კლასის მოსწავლეებმა, მშობლებმა, მოწვეულმა სტუმრებმა.კომპანია „არემჯის“ თანამშრომლებმა, თემის წარმომადგენლებმა.

მოსწავლეების ერთი ნაწილი წერილობით შეუთანხმდა კომპანია „არემჯის“ წარმომადგენლებს და წინასწარ შედგენილი კითხვარის მიხედვით გამოკითხეს კომპანიაში დასაქმებული 50 ქალი. ნაწილმა კი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით გამოკითხა 50 ქალი.

ერთმა ჯგუფმა შეისწავლა საქართველოსა და მსოფლიოში გამოჩენილი ქალების ცხოვრება და მოღვაწეობა. მოსწავლეთა ნაწილმა შეისწავლა ქალთა უფლებებისა და დარღვევების ფაქტები.

ასევე მოიპოვეს ინფორმაცია ბოლნისის რაიონული სასამართლოდან ოჯახური ძალადობის ფაქტებზე სამოქალაქო დავების შესახებ.

უცხო სიტყვათა განმარტება:

ფემინიზმი-{ლათ.Femina-ქალი, საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოძრაობა, რომლის მიზანია ქალთა უფლებების აღიარება და მათი გატანასწორება მამაკაცებთან ცხოვრების ყველა სფეროში, იქნება ეს სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული თუ სხვა.

გენდერი-სქესის სოციალური კატეგორია.ქალსა და კაცს შორის ურთიერთობის ორგანიზებული მოდელი, რომელიც ახასიათებს არა მარტო მათ პიროვნებათშორის ურთიერთობებს, არამედ განსაზღვრავს მათ სოციალურ ურთიერთობებს ძირითად საზოგადოებრივ ინსტიტუტებში.

საჭირო საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი:

სახელმძღვანელო: იაკობ ხუცესის ,,შუშანიკის წამება".

შეფასების ფურცელი,კითხვარები,პოსტერები, ფლაერები, ვებ-მისამართი.

III.*გაკვეთილის/თემატური ერთეულის დროში გაწერილი მიმდინარეობა:*

იაკობ ხუცესის ,,შუშანიკის წამების" შესაწავლისას, კერძოდ ,,პურობის სცენის" განხილვისას მოსწავლეებს დავუსვი კითხვა:

1. რა გახდა ამ კონფლიქტის რეალური მიზეზი?
2. რამდენად იყო დაცული ქალის უფლებები საქართველოში? მსოფლიოში?
3. ვინ იყვნენ გამოჩენილი ქალები?
4. რამდენად არის დღეს დაცული ქალის უფლებები საქართველოში და მსოფლიოში?

მოსწავლეთა პასუხების შემდეგ გადავწყვიტე კლასი დამეყო ოთხ ჯგუფად და გვემუშავა შემდეგი მიმართულებებით:

1-ლი ჯგუფი- გამოკითხვას ჩაატარებდა კომპანია ,,არემჯის" თანამშრომლ ქალებს შორის;

მე-2 ჯგუფი- გამოკითხავდა ქალებს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;

მე-3 ჯგუფი ისტორიის მასწავლებლის დახმარებით შეისწავლიდა გამოჩენილი ქალების ცხოვრებასა და მოღვაწეობას;

მე-4 ჯგუფი სამოქალაქო განათლების მასწავლებლის დახმარებით იმუშავებდა ქალთა უფლებებისა და დარღვევების შესახებ მსოფლიოში.

პროექტი გაგრძელდა 1 თვის განმავლობაში.

1-ლი კვირა -მოსამზდებელი ეტაპი-ტექსტის გაცნობა, მსჯელობა კონფლიქტის მიზეზებზე, ჯგუფებად დაყოფა, დავალების გადანაწილება, კითხვარის მომზადება.მომავალი საქმიანობის გაცნობა.

მე-2 კვირა-ინფორმაციის მოძიება გამოკითხვის ჩატარება, პრეზენტაციების მომზადება, სლოგანების,პოსტერებისა და ფლაერების დამზადება.

მე-3 კვირა-პროექტის პრეზენტაცია: სტუმრების მოწვევა-დისკუსია

მე-4 კვირა-სლოგანისა და პოსტერების დაბის თვალსაჩინო ადგილზე გაკვრა, ფლაერების დარიგება,სოციალურ ქსელში- სკოლის გვერდეზე ინფორმაციის განთავსება.

1-ლი აქტივობა: ნასწავლი ტექსტის კიდევ ერთხელ შეხსენების მიზნით, მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს უპასუხონ კითხვებს:

ა) ვინ არიან ნაწარმოების მთავარი პერსონაჟები?
ბ) დაახასიათეთ ნაწარმოების მთავარი პერსონაჟები?
გ) რა გახდა ,,შუშანიკის წამებაში‘‘ აღწერილი კონფლიქტის მიზეზი?

დ)იმსჯელეთ,ვარსქენის ხასიათის თვისებებზე;

ე) ჩამოაყალიბეთ თქვენი მოსაზრება ქალთა უფლებებისა და

დისკიმინაციის თვალსაზრისით.

მე-2.აქტივობა: 1-ლმა ჯგუფმა ისაუბრა ჯგუფის საქმიანობის შესახებ, როგორ ჩაატარეს გამოკითხვა, რა მოეწონათ, რას გაიზიარებდნენ მომავალში და წარმოაგინეს პრეზენტაცია გამოკითხვის შედეგების შესახებ;

მოსწავლეები პასუხობნენ მასწავლებლებისა და მშობლების შეკითხვებს.

მე-2 ჯგუფმა გააკეთა პრეზენტაცია საცხოვრებელი ადგილის მიხედვით გამოკითხული ქალების შესახებ და ისაუბრეს იმ პრობლემებზე, რასაც გამოკითხვის შედეგად წააწყდნენ.

ასევე გაიმართა კითხვა-პასუხი.

მე-3 ჯგუფის წევრებმა ისაუბრეს საქართველოსა და მსოფლოიში მათთვის საინტერესო ქალების ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

მე-4 ჯგუფის წევრებმა წარმოადგინეს პრეზენტაცია გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების შესახებ, ასევე გამოიყენეს ვებ-რესურსი ,,ფემინიზმი-ხშირად დასმული შეკითხვები‘‘

3 აქტივობა. გაიმართა დისკუსია, რომელშიც ჩარეთვნენ პარალელური კლასის მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები და შეეხო ქალის როლს ოჯახსა და სახელმწიფოში.

4აქტივობა: ბიოლოგიის მასწავლებელი ესაუბრა ქალისა და მამაკაცის შესახებ არსებულ სტერეოტიპებზე.

5 აქტივობა.მოსწავლეებმა წარმოადგინეს პოსტერები, სლოგანები და მათ მიერ დამზადებული ფლაერები.

6აქტივობა.პროექტის შეჯამება-შეფასების რუბრიკის გამოყენებითა და მოწვეული სტუმრებიშ კომენტარები

შეფასების რუბრიკა:

კრიტერიუმები	4-5	6-7	8-10
გასაგებადაყალიბებს საკუთარ მოსაზრებებს	უჭირს საკუთარი მოსაზრების ჩამოყალიბება	კარგადაყალიბებს საკუთარ მოსაზრებას	გასაგებადაყალიბებს საკუთარ მოსაზრებებს
მსჯელობს არგუმენტირებულად	მსჯელობს, მაგრამ არგუმენტები არადამაჯერებელია	მსჯელობს კარგადმაგრამ არგუმენტები მწირია	მსჯელობს არგუმენტირებულად
შეუძლია პრობლემის სილრმისეული წვდომა	უჭირს პრობლემის განსაზღვრა	შეუძლია პრობლემის წვდომა	შეუძლია პრობლემის სილრმისეული წვდომა
მსჯელობიდან გამოაქვს ადეკვატური დასკვნა	უჭირს მსჯელობიდან ადეკვატური დასკვნის გამოტანა	შეუძლია მსჯელობიდან დასკვნის გამოტანა	მსჯელობიდან ზუსტად გამოაქვს ადეკვატური დასკვნა
პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული ვარიანტის შემოთავაზება	უჭირს პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული ვარიანტის შემოთავაზება	შეუძლია პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული ვარიანტის შემოთავაზება	დამაჯერებლადშეუძლია პრობლემის გადაჭრის რამდენიმე ალტერნატიული ვარიანტის შემოთავაზება